№ 2. 4 ინვარი, ოთხშაბათი. 1866—1884 4 იანვარი, ოთხშაბათი. № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზარეოვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэа»

«დროების» ფასი

მთელის წლისა. . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ´ ნებს აგტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა

შემავალს 1884 წლისათვის გაზეთს

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზარეოვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ენო. როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ბოლოში, საზოგადოების დეპოში, ადალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»*.

ფასი ხელის-მოწერისა:

წლით (12 თვით)	— — 9 მან.	6 თვით	— — 5 მან.
11 თვით	— — 8 მ. და 50 კ.	5 თვით	— — 4 მ. და 50 კ.
10 თვით	— — 8 მან.	4 თვით	— — 4 მან.
9 თვით	— — 7 მ. და 50 კ.	3 თვით	— — 3 მან.
8 თვით	— — 7 მან.	2 თვით	— — 2 მან.
7 თვით	— — 6 მან.	1 თვით	— — 1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

ახალი რუსული გაზეთი ჩვენში

თბილისი, 4 ინვარს.

წარსულის წლს «დროების» მე-256 №-ში ჩვენ ილაპარაკეთ ახალი რუსული გაზეთი გამოცემის შესახებ ჩვენს მხარეში. ... მაშინვე წარმოვსთქვით ჩვენი აზრ... იმის დანიშნულების და მიმართულების შესახებ. ეხლა გვეძლევა შეხვედრა განვაგრძოთ იგივე საუბარი, იადგანაც პირველმა ინვარმა მოგვიტანა «ახალი მიმოხილვის» პირველი №, რომელიც გვაძლევს საშუალებას განვსაჯოთ, თუ რაოდენად გაამართლა ან გაამართლებს ჩვენს მოლოდინს «ახალი მიმოხილვა» და როგორ ესმით ჩვენში დამოუკიდებელ მწერლობის წარმომადგენელთ მწერლობის დანიშნულება და თავიანთი მოვალეობა ქვეყნის და საზოგადოების წინაშე. ამის გამოძიება მით უფრო ადვილია ჩვენთვის, რომ «ახალი მიმოხილვის» მოწინავე წერილში ცხადად გამოთქმულია ის დედა-აზრები, რომელნიც თავის დროშაზე ზედ წაუწერია ახალს რედაქციას და საქვეყნოდ გამოუცხადებია.

პირველსავე წერილში «ახალი მიმოხილვის» გამო ჩვენ ვაღვიარეთ უმთავრეს საგნად მწერლობისა ადგილობრივ მოთხოვნილებათა გამოკვლევა და შესწავლა; მწერლობა ამ-კავკაზიაში მტკიცედ უნდა ადგეს ამ აზრსა, რადგანაც იგი სრულიად უმნიშვნელოა წინაალმდეგ შემთხვევაში, და მით უფრო ცხოველი და მძლავრი ძალა შეიქმნება იგი, რაოდენათაც მომეტებულს ყურადღებას დაუთმობს ადგილობრივ საჭიროებათა და მით საშუალებას მისცემს საზოგადოებას თვალ-ყური ადევნოს თავისავე თავგადასავალს. პირველსავე წერილში ახალს რედაქციას გამოუცხადებია ეგ საგანი უმთავრეს საგნად მწერლობისა; გაზეთი ამბობს: «ახალი მიმოხილვა ბედნიერად ჩაითვლის თავს, თუ იგი შეიქმნება, სხვათა შორის, ისეთ გაზეთად, რომელიც იქნება გამომთქმელი ადგილობრივ საჭიროებათა და იმ აზრთა, რომელნიც ეკუთვნიან ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელთ, ქვეყნის კარგად მცოდნეთ, სხვა ფრივ თავიანთ აზრების გამოსათქმელად, «საშუალებას მოკლებულთ». იმედი უნდა ვიქონირთ, რომ «ახალი მიმოხილვა» მომავალს მოღვაწეობაში არ დაივიწყებს ამ აზრს და შეძლებისა-და-გვარად ემსახურება მას. ზემოდ მოყვანილი სიტყვები ერთობ საზოგადოდ არიან გამოთქმულნი და ამიტომაც მათ დიდი მნიშვნელობა არ მიეწერება, თუ რომ ახალს რედაქციას არ აეხსნა, რაოდენიმე სიტყვით მაინც, ერთი ისეთი გარემოება, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს რედაქციის დედა-აზრთან.

საზოგადოდ ამ-კავკასიაში და კერძოდ ჩვენს ქვეყანაში აუცილებელს საგანს მწერლობისას შეადგენს ეროვნული საქმე, რომელიც არა მარტო ამ-კავკასიისათვის, არამედ მთელი რუსეთისათვის, შინაური პოლიტიკის უმთავრესი საგანია; ეროვნული საქმის რიგიანად დაყენება და იმის შესახებ დამყარება ნამდვილი და ჭეშმარიტი აზრისა შეადგენს ეროვნული საქმის წარმატების საშუალებას; მხოლოდ მაშინ დაადგება რომელიმე ქვეყანა, ანუ ერი, წარმატების გზას, როცა მისი კანონიერი ეროვნული მოთხოვნილებანი ანგარიშში მიღებულ იქმნებიან. თვით რუსეთი განსაკუთრებითი ყურადღებას მიაქცევს ეროვნულს საქმეს. ეროვნული საქმე რუსეთში ერთობ რთულია, და მით უფრო ესაჭიროება მას ყოველ მხრივ სინდისიერად მოპყრობა. ახალს გაზეთს პირველ-

«დროების» ფელეტონი, 4 ინვარი.

სამიცოდვა

(ოსურ ლეგენდა)

Душа его отъ глазъ пророка
Со страхмъ удалилась прочь,
И тѣнь ею въ горахъ Востока
Понынѣ бодитъ въ темну ночь!

ლერმონტოვი.

I

იქ, სადაც ეშმაგებულს თერგს ერთვის «ცოფიან» არდონი, გაშლილია მწვანე ბნდორი, რომელსაც ერთი სერი საზერავს. ამ სერზე ოდესმე იმყოფოდა ოსის ბურის ხაძარი (სახლი), მაგრამ ქამთა ვითარებისაგან განჭა ეს ხაძარიც და მოწმად იმისა, რომ აქ ოდესმე სცხოვრებდა ბური, დრჩა მხოლოდ ადგილი სახლისა დაზედ ამოსული ჭინჭარი—ნიშანი ბურის სიცოცხლის მწარედ გათავებისა.

ძალიან შემძე ალდარი (თავადი) ყოფილა ბური; თუმცა მისი სახლი სოფელს მოშორებული იდგა, მაგრამ ყოველ დღე სტუმარი არ მოჰკლებია და ყოველ წუთ მის საკუნაკოდამ (სასტუმრო) გამოსმოდა მხიარული ოსური სუფრული: «ხორს რაქან, ვასჯირჯი» (გვიწყაიობე, ვასჯირჯი!) და სხვ. მაგრამ ეხლა ეს ალაგი დადუმებულა, ბუნებას ღრმად ჩასძინებია და თვით მფრინველებიც კი, რომელთაც ისე უყვარდათ ყოველ დილით ბურის ხაძარის წინ ჭიკჭიკი, მოშორდენ ამ ალაგს იმიტომ, რომ აქ ბურიმ სამი ცოდვა ჰქნა.

მდიდარი იყო ბური, მაგრამ მისი სიმდიდრე არად სჩანდა მისის დის ფეფეს სილამაზესთან და სიმშვენიერესთან. ფეფე «ქვეყნიური ანგელოზი» იყო.

ბევრი ალდარის შვილი სცდილობდა ფეფეს ცოლად შერთვას, მაგრამ ყოველი მათი ღონის-ძიება ამაო იყო. რა რიგად არ აწონებდენ ისინი ფეფეს თავიანთ სიმარდეს, ღონეს და ტანადობას. ზოგი ბურისთან სადილობის დროს დამღეროდა ძველ ნართებზე; ზოგნი ერთმანეთს დოღში, ჭიდაობაში ეჯიბრებოდენ; მაგრამ ვერც ერთი ვერას გახდა და ყველას აჯობა ყაბარდოელმა უზდენმა (ბრწყინვალე თავადი) გასან-ბეგმა. ვერც ფეფემ გასძლო, რომ არ შეეყვარა მშვენიერი ყმაწვილი კაცი და დასთანხმდა, რომ გასან-ბეგს ცოლად წაჰყოლოდა.

დიდ სიხარულშია უზდენი, მაგრამ ძალიან დაღონდენ ოსების ალდარები. აგერ მოაღწია ნიშნის მოტანის დღემაც და გასან-ბეგი გამოცხადდა ბურის სახლში თავის მამასთან ერთად. დიდ-ლხინში გაატარეს ის დღე; მაგრამ როდესაც შეიქმნა შუა-ღამე, გასან-ბეგი უნდა დაბრუნებულიყო სახლში და მომზადებულიყო ქორწილისათვის. ბურიმ მამა-პაპური ჩვეულებისამებრ შორს გააცილა იგი და როდესაც დაბრუნდა შინისკენ, მოესმა რაღაც ხმაურობა.

— ბური!—დაუძახა ვილამაც ოსს.

— ფუუი!—წამოიძახა ოსმა ნელის ხმით,—«დასწყეველოს ალლახმა შენი ხსენება, შაითან!» დაჰკრა ორჯერ თუ სამჯერ ცხენს მათრახი და საჩქაროდ გასწია შინისკენ. მაგრამ მაინც მოეწივნენ და ბურიმ სცნო ოსმალელი აბდულა, რომელიც თავის შვილთან საფართან დადიოდა ხოლმე მთებში და ლამაზ ქალებს ჰყიდულობდა. აბდულამ, ცოტა ხნის ბაასის შემდგომ, სთხოვა ბურის, რომ მიეყიდნა თავისი და ფეფე მისთვის. ოსმა პასუხი არ გასცა, ჩაფიქრებით შესდგა და თავ-მოწონებით ულვაშის გრეხა დაიწყო...

— იფიქრე, უთხრა აბდულამ ბურის,—რა არის ბილამაზე? იფიქრე, რომ შემდეგში ჩემის ოქროთი მდიდარი შეიქმნები; შეიქმნები პირველი შემძლე თაგიებში (ერთი ოსთა თავადების გვართაგანია); რა არის სილამაზე?—ბეფიცები ყოველად შემძლებელ მაჰმადის წვერს, რომ გავა ერთი წელიწადი და ფეფე იმის ნახევარიც აღარ ეღირება, რასაც ეხლა მოგცემ; გავა კიდევ რამდენიმე წელიწადი, და შენი და ნახვის ღირსიც აღარ იქმნება!.. ფული კი!... და ამ სიტყვებით მოხუცებულმა აბდულამ წამოუყარა წინ მთელი გროვა ოქროსი... დახედა ბურიმ ოქროს, აუჭრელდა თვალები და წაიბუტბუტა: «გავყიდო! და მერე ვინ?!—ჩემი ერთად-ერთი და, მშვენიერი ფეფე, ყაბარდოელ უზდენის გასან-ბეგის დანიშნული!.. არა, არ შემიძლიან!..

— იფიქრე კიდევ, უგუნურო! შენ მაგითი შენს დას მტრობას უწევ!.. იფიქრე, რომ შენი მშვენიერი ფეფე ეაენის არამხანის ღირსი გახდება.

ღრმად ჩაფიქრდა ოსი!.. ბული საშინლად აუღელდა... «მივათხოვო ჩემი და გასან-ბეგს, თუ მივიღო აბდულასაგან ამდენი ოქრო, გავყიდო და, ვუღალატო სიძეს და ალლახს?!.» დიდ-ხანს იფიქრა ოსმა, მაგრამ ბოლოს ფულის ნდომამ დასძლია იგი...

— ფეფე შენია!.. წამოროტა რო-

ველსაევ №-ში ნათლად გამოუთქვამს შესახებ ეროვნული საქმისა თავისი საკუთარი აზრი, რომელიც ჩვენ ერთობ სამართლიანად მიგვაჩნია. ბაზეთი ამბობს: «ჩვენის აზრით, ყოველს ერსა აქვს ბუნებრივი უფლება განაკითაროს ყოველივე განსაკუთრებითი თვისება თვისის გენიისა; რაც უფრო ფართო გზას დაადგება, რაც უფრო თავისუფალი იქნება ამ გვარს გზაზე მსელელობა რომელიმე ხალხისა, მით უფრო ძვირფასს განძს შეიტანს იგი (ერი) ეროვნულსა და საზოგადოდ კაცობრიულ სულიერის სიმდიდრის საერთო სალაროში. ზიზღის ღირსია იგი, ვინც უარს ჰყოფს საკუთარს ეროვნობას...ყოველს რუსსა აქვს უფლება იქმნეს რუსი, ყოველს სომეხს, ქართველს, იმერელს(?) აქვს უფლება იყოს სომეხი, ქართველი, იმერელი,(?), მაგრამ ყველა ესენი უწინარეს ყოვლისა უნდა იყვნენ ადამიანები, რადგანაც ჭეშმარიტების წინაშე არა არს არც მონა, არც თავისუფალი.....»

ეს სიტყვები გვიმტკიცებენ, რომ ახალი გაზეთი არ დაადგება გატკეცილს გზას და არ წაბაძავს იმათ, ვინც სულდგმულობენ მხოლოდ შფოთით, სხვისადმი სიმძულვარით და ხალხთა მორის დაუნდობლობის ჩამოგდებით. სამწუხაროდ, ამ გატკეცილს გზას ადგია კარგი ძალი ნაწილი რუსული მწერლობისა, და უფრო სასიამოვნოა «ახალი მიმოხილვისაგან» გამოქვეყნება ეროვნულის საქმის შესახებ თავის შეხედულობისა, რომელიც არის ნაყოფი გონიერი და მიუდგომელი აზრისა.

ბოლოს უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა შესახებ იმისა, თუ რა რიგად უყურებს «ახალი მიმოხილვა» საზოგადოდ მწერლობის მოვალეობას და დანიშნულებას. ბაზეთი ამბობს, რომ ჭეშმარიტება არის ერთად ერთი საგანიო, რომელსაც მიუდგომელი და საფუძვლიანი მწერლობა უნდა მსახურებდეს. «ახალს მიმოხილვას» კარგად ესმის იმ პირობათა ძალა, რომლებშიაც მოქცეულია პროვინციალური, დამოუკიდებელი მწერლობა, მაგრამ მას აიმედებს მაგალითი მონტესკიესი და ტურგენიევისა, რომელნიც ახერხებდენ ისეთის რასმეს გამოთქმას, რისიც აღსაარება დიდს გამბედაობას მოითხოვდა; მართალია, საუკეთესო მწერლები ხშირად ისეთს რასმეს ღაღადებენ, რაიცა არ შეესაბამება უმრავლესობის გრძნობა-გონებას, რაიცა ყველასთვის სასიამოვნო არ არის, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ მონტესკიესი და ტურგენიევის მაგალითის განმეორება ერთობ ძნელი საქმეა, რადგანაც ჭეშმარიტება მეტის-მეტად ეკლიანი რამ არის. «ახალი მიმოხილვის» აზრით, მწერლობასა აქვს საშუალება, მაგალითად—სატირის შემწეობით, იქონიოს ძლიერი გავლენა კაცის გონებაზე; ეს სრულიად მართალია, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველს გვარს მწერლობისას მიელის დიდი განსაცდელი, მეტადრე ჩვენს დროში, როცა გულთა-მკითხაობა შეადგენს ერთობ განვითარებულს ხელობას. «ახალი მიმოხილვა» თითონვე კარგად გრძნობს, თუ რაოდენად გაჭირვებულია პატიოსანი მწერლობის მოღვაწეობა; გაზეთი ამბობს: «იყო დრო, როცა ძავკასიელი მწერლობა მაღალს წერტილზე იდგა; მაგრამ ამ დროიდგან დაგვრჩა მხოლოდ მწარე მოგონება.»

ვისურვებთ, რომ ახალს გაზეთს თუ სრულად არა, ცოტათი მაინც განეახლებინოს ჩვენთვის დრო ჩვენებური რუსული მწერლობის კეთილ-მოღვაწეობისა.

შინაური ქრონიკა

წარსული დეკემბრის 27 შესდგა ყრილობა «ძავკასიის სამეურნო საზოგადოების» წევრთა, თბილისში. საგანად ყრილობისა იყო აქციზის სისტემა აქეთა-ძავკასიაში. ამ აქციზს დიდი ზიანი მოაქვს ჩვენი მეღვინეობისათვის და ცხადია მისი მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში.

თაეს-მჯდომარემ, ბ. ხატისოვმა, უამბო კრებას ისტორია აქციზისა. წინედ ისე იყო, რომ ყველა მებაღე, ვისაც არყის გამოხდა უნდოდა ჰაჭიდამ, აიღებდა პატენტს და რამდენი ვედრაც ჩავიდოდა საარაყე ქვაბში, იმდენს მანათს გადაიხდიდაო. ის იყო იმის გადასახადი, შემდეგ სრულებით თავისუფალი შეიქნებოდა თავის მოქმედებაში; თავისუფალი იყო და უნდოდა, გამოჰხდიდა არაყს; არ ეცალა და, თაჯში არავინ ჩაუკაკუნებდა—იმას ვადა არა ჰქონდა დანიშნული. მაგრამ ასეთი წესი მალე მოისპო და მის ადგილზედ დაუწყეს გადახდევინება სააქციზო ჯერ ვედრაზე შეიდი კაპეიკი დღეში, თანაც გაუძნელეს, სხვა-და-სხვა ფორმალიზმით, მოწმობის აღება; მერე აქციზი 7 კაპეიკიდამ ასწიეს 11 კაპეიკზე; მერე, თანდათან ავიდენ 25 კაპეიკამდის ცეცხლის ქარხანებზე და 41 კაპ. ორთქლის ქარხანებზე. დანიშნეს ვადები, უთუოდ ამდენი და ამდენი დღე უნდა ამუშავო ქარხანა და დღეში ესა და ეს იხადოვო. ეს იყო ჭაჭის არაყზედ. მხოლოდ არყის გამოხდა ქიშმიშისაგან თუ ხილეულობისაგან უფრო გამძულდა: ცეცხლის ქარხანაში იღებენ 2 მან. და 16 კაპ., და ორთქლისაში ხომ 3 მან. და 93 კაპ.

ასეთი გადასახადებისა და ფორმალიზმის გამო, ბევრმა დაკეტა თავიანთ ზარფუშები და მიანებეს თავი არყის გამოხდას. ხარალი უთქმელადაც აშკარაა. მგრამ ხსენებულმა «საზოგადოებამ» მაინც მოსთხოვა სხვა-და-სხვა მემამულეთ და მაზრების უფროსებთა ცნობები, თუ რა მდგომარეობაშია ეხლ არყის გამოხდა ჩვენში. ბევრმა უკვე წარმოუდგინა «საზოგადოებას» საჭირო ცნობები, დანარჩენნიც მალე გამოგზავნიან. ამ მხრითაც დამტკიცდა, რომ აქციზის წესებით ისარგებლს მხოლოდ ფულიანმა მექარხნეებმა და წვრილმანი ვენახების პატრონებს კი ტყუილად უფუჭდებათ იმოტლა ჭაჭა და აქედგან, რასაკვირველია, უმცირდებათ შემოსავალი.

აქციზის სისტემა შეავიწროვა არყის წარმოება არა მარტო ჩვენში, თვით რუსეთშიაც ასეთივ მოქმედება იქონია, და ეხლა მთავრობამაც მიაქცია ყურადღება აქციზს საქმეს იმპერიაში. მთავრობამ ბრძანა წინადადება სამეურნო საზოგადოებათ და სხვა დაწესებულებათ, რომ გამოიკვლიონ ეს საგანი და წარადგინონ მასზე თავიანთი აზრი. ამიტომ, სთქვა ბ. ხატისოვმა, ჩვენ უნდა ყოველი ღონის-ძიება ვიხმაროთ აქციზის თავობაზედ, რომ მისი გადაწყვეტით არც ხაზინას დაეკლდეს შემოსავალი და არც ჩვენი ვენახის პატრონები იყვნენ ეხლანდელს ზარალშიო. ეს საგანი მით უფრო ყურადღების ღირსია, რომ აქეთა-ძვკასიაში ვენახებს უჭირავთ 100,000 დესეტინა ადგილი, საიდამაც იწუება ღვინო ათი

გორღაც გაუგებარის ხმით ბურიმ!..

— ძალიან კარგი,—უპასუხა აბდულამ,—მაშ ეს ოქროც შენი იქნება, როდესაც ფეფეს აქ მოგვერი!..

მეხის სისწრაფით გაემგზავრა ბური ამ სიტყვების შემდეგ სახლისაკენ... შეალო კარი!.. ტკბილად ეძინა ფეფეს თავის ლოგინში... ვინ იცის, იქნება სიზმარში თავისი ბასან-ბეგი აგონდებოდა?! ბური დასწვდა და აკოცა ლოყაზე ფეფეს...

— რომელი ხარ?—წამოიძახა ფეფემ, შენა ხარ ბური?!

— მე შენი ბასან-ბეგი ვარ! ადექ, წამომყე!..

ფეფე მაშინვე წამოდგა და ბურიმ გაიყოლია იგი. მივიდენ ტყის პირთან თუ არა, ოთხმა კაცმა სტაცა ხელი ქალს, შესვეს ცხენზე, მსწრაფლ მოჰკურცხლეს და ოქროც თან წაიღეს!..

— ბამცარცვეს! მოიტაცეს!.. წარმოსთქვა ბურიმ და დაეცა მიწაზე!..

ამის შემდეგ აზრაილმა ჩასწერა იგი მკვდრების რიცხვში!..

II

«.!

მარტოდ, გაოხრებული იდგა ეხლა საცოდავი ბურის სახლი!.. მის წინ მინდორზე აღარა სჩანდენ ცოკნები, რომელთაც აძოვებდა ხოლმე ფეფე. ბაქვავებული ბურის გული ითხოვდა მხოლოდ შურის-ძიებას. ყაბარდოელი ბასან-ბეგი, როდესაც გაიგო, რომ მისი ფეფე მოიტაცეს, აბრაგი გახდა*).

ბავიდა ერთი თვე. ამბობენ, რომ ფეფემ მოახერხა აბდულასაგან გაქცევა. ერთ ღამეს გარდაიცვა კაცურად, შეჯდა ცხენზე და გასწია თავის სამშობლოსაკენ... როდესაც მიაღწია საუ-ადაგს, წინ დაუხვდა საშინელი და განთქმული აბრაგი ბასან-ბეგი.— მიშოვე მსხვერპლი! დაიძახა ბასანმა და გაუშვა ტყვია, რომელმაც ზუილით გარდაუარა ფეფეს თავზედ... შემდეგ ამისა ბასან-ბეგი გაემგზავრა ბურისთან.

— ვერაკინ იმსხვერპლე? — ჰკითხა ბურიმ ბასანს.

— ვერა!—უპასუხა ბასანმა. მსხვერპლი იყო, ვესროლე კიდეც, მაგრამ ალბად ალლახს არ ჰსურდა და ვერ მოვარტყი!..

— ცხენი როგორი ჰყავდა?

— უჰ! ცხენი!.. ხაზინად ღირდა!..

— იარაღი?

— იარაღი სულ ოქროთა და ვერცხლით იყო შეჭედილი, ტანისამოსით ოსმალელს ჰგავდა!

— ოსმალელს!!!—წამოიძახა ოსმა და მოაგონდა აბდულა. იმას საშინლად ეწყინა, რომ აბრაგმა ბასანმა მისი მოკვლა ვერ მოახერხა.

ამ დროს კარი ეიღაცამ დააბრახუნა და დაიძახა:

— კარი გამიღეთ! ერთი ღამით შემინახეთ!..

— ეგ არის, ეგ!—წაიბუტბუტა ბასანმა.

— სახლში ყველა მოხეტიალესათვის ადგილი არა გვაქვს,—მიაძახა ბურიმ სტუმარს და თოფი ჩამოიღო!..

— თქვენ მამა-პაპათ საფლავების ხათრით!..

— არა-მეთქი,—უპასუხა ბურიმ.

ბააბრუნა ფეფემ ცხენი, აუარა ბურის სახლს და გასწია ახლო სოფლისაკენ... მაკრამ ამ დროს სახლიდამ გამოვარდა ბური, გაასწრო ფეფეს და წინ ჩაუჯდა. ბური დარწმუნებული იყო, რომ ის უეჭველად აბდულა იქნებოდა.

აგერ მოისმა ცხენის ფეხის ხმაურობა!.. ნალისაგან გაყრილმა ნაპერწკლებმა უჩვენეს ბურის ის ადგილი, საცა ცხენოსანი იდიოდა. ბურიმ მოამზადა თოფის ჩხმახის კაჟი, დაიჩოქა, დაუმიზნა დ საცოდავ ფეფეს გულში გაარტყა ტყვია. თოფის ნაპერწკლების სინათლეზედ იცნეს ორთავ ერთმანეთი....

— ბური! ჩემი ძა!!! დაიძახა ფეფემ.

— ფეფე!!! ამოიკნესა ბურიმ.

— რა ჰქენი? უთხრა ფეფემ თავის ძმას. სამი საშინელი ცოდვა მოიქმედე: გაჭეიდე შენი დ, ჯრ მიიღე სტუმარი და მოჭკალ დედაკაცი!!!.. მე ვკვდები, მაგრამ ჩემი უანასკნელი სიტყვაა—შეგაჩვენოს ღმერთმა, ცოდვიანო ძმავ!..

მოჰკვდა ფეფე, მაგრამ ბურიმაც იქვე დაიკრა გულში ხანჯალი და განუტევა სული...

«ამის შემდეგ, ამბობენ ოსები, დადის ბურის სული ძავკასიის მთებში და საშინელი ხარხარით აშინებს მგზავრებს»!!!...

გორგი ჩოჩიშვილი.

1884 წ. ქ. თბილისი.

---

*) სიტყვა აბრაგი ოსურ ენაზე ნიშნავს ყაჩაღს. «აბრაგ-კაცი, რომელიც ხელს აიღებს საყვარულზედ, სინიდისზედ, შებრალებაზედ, ერთის სიტყვით ყოველს გრძნობაზედ, ჭეშმარიტად, აბრაგი არის მთების ზარ-დამტეში: სისხლია—მისი სტიქია, ხანჯალი—განუშორებელი ამხანაგი, თითონ არის შაითნის მომსრე». აკტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიონიდამ თორმეტ მილიონამდის ვედრო.

ამ საგანზედ ასტყდა ერთი უშველებელი ბაასი და ცილობა «საზოგადოებისა» და აქციზის წარმომადგენელთ შორის. აქციზის გამგეობის უფროსი ჩვენს ქვეყანაში, ბ. ფესუნი ადეილებდა აქციზის საქმეს, იძახოდა, რომ აქციზმა ზარალი კი არა, დიდი სარგებლობა მოუმატა ღვინის წარმოებელთაო, წლითი-წლობით კი არა კლებულობს, არამედ მატულობს არყის ქარხნების რიცხვიო და რაკი ასე აშკარად კარგი ზედ-მოქმედება აქეს ვენახების პატრონებზე, ამიტომ ურიგო არ იქნება აქციზს უფრო მოუმატოთ, არამცთუ დაუკლოთო.

ხოლო, როცა მოსთხოვეს მას სტატისტიკური ცნობები, მაშინ ბ. ფესუნი გამოტყდა, რომ წინანდელთა არყის გამომხდელთა რიცხვი არაევინ იცისო. ამაზედ უთხრეს, რომ, მაშასადამე, არც შესაძლებელია ითქვას, რომ ვითომც არყის გამოხდამ იმატაო. ბ. ჯორჯაძის სამართლიანი აზრით, დრო არ იყო კინკლაობა გაემართათ აქციზის გამგეობასთან; ჩვენ კითხვა მკნივრულად უნდა გავსინჯოთო. სვა დაწინაურებულს ქვეყნებში ღვინია და არყის გაკეთება მხარდამხარ ხდიანო, იქ არც ერთის შეეწროებაარ მიაჩნიათ რისთვისმე ან ვისთვისმე სასარგებლოთაო. ეს ხომ ცხადია, რომ აქციზი იმოტეხა ჭაჭას ფუჭად უხდის ხალხსა და, მაშასადამე, ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზედ, თუ რა გზთ შეიძლება მოვაშოროთ ხალხს შკარა ზიანიო. აქციზის წლიური შემოსავალი არის სულ რაღაც 20,000 მან. და ხალხი იმის გამო ერც რიგიან ღვინოს აყენებს, ვეარც ჭაჭის არაყსა ჰხდის ზომიერადდა ამის გამო 15 მილიონი მანათი რუსეთიდამ გადის, ჩვენი ქვეყნის მგიერ, უცხოეთში, რომ იქ იყიდონ ყურძნის სასმელებიო. ამის შემდგ, ბ. ფესუნმა მოახსენა «საზოგადოებას» ფრიად საინტერესო პროექტი, რომელიც შეუდგენია აქციზის გამგეობას. პროექტის აზრით, ენახების პატრონებს უნდა მიეცეთ ნება გამოხადონ არაყი უაქციზოთა და თავისუფლად, რამდენიც კი დაჭირდებათ ღვინოების დასაყენებლად და გასაუმჯობესებლად, აგრეთვე ექნებათ ნება უაქციზოთ გამოჭხაონ არაყი, რამდენიც კი მოუნდებათ შინ სახმარებლად. აქციზს გადაიხდიან მხოლოდ მაშინ, უკეთუ აიყს გასასყიდად გამოიტანენ.

კრებამ დაადგინა გამოსაკვლევად ოთხი მუხლი: 1 როგორ უნდა მოიმზადდეს სპირტი ღვინის უკეთეს დასაყენებლად; 2) რამდენად სასარგებლოა ჩვენში კონიაკისა და «კიზლიარკის» დაყენება; 3) რანაირად უნდა დაწესდეს აქციზის გადახდევინება ენახების პატრონებისა და მექარხნეებისა, და 4) პურის არყის გამოხდა მთებში.

ამ კითხვების განსახილველად დანიშნეს 3 იანვარი. შემდეგ მოველაპარაკებით მკითხველებს, რანაირად გასინჯავს მათ «საზოგადოება».

〰 აქამდის ძუთაისსა ჰქონდა ჩვეულებად დღე-გამოშვებით სხვა-დასხვა ალაგს ცეცხლით გაჩალებულიყო და ახლა ეს ჩვეულება ბათუმსაც გადაუღია. ოთხი დღე არ იქნება, რაც ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი ბათუმს ცეცხლი მოსვენებას არ აძლევსო და აი დღეს კიდეე ჩვენი კორესპონდენტი ამართლებს ამ სიტყვებს:

«შობა ღამეს გაუჩნდა ცეცხლი ფერად-ბეგ-ბეჟანიძის მაღაზიებს, რომელნიც სულ მთლად გადიწვნენ. ეს მაღაზიები წელიწადში პატრონს ოთხას თუმანს შემოსავალს აძლევდენ. დიდი ზარალი მოუვიდა ბედკრულ ბეჟანიძეს. ამბობენ, განგებ წაუკიდესო, რადგანაც დაზღვეული საქონელი ბლომად ეწყო ერთს ამ მაღაზიათაგანშიო».

〰 დაბა ლანჩხუთიდამა გვწერენ: «რაც ლანჩხუთის რკინის გზის სტანცია გაკეთდა, უანგარიშო თხოვნა გაიგზავნა ლანჩხუთელი ვაჭრებისაგან მაზრის უფროსთან და გუბერნატორთანაც პლანი მოგვეცით, ქვის დუქნები უნდა ავაშენოთო. აგრეთვე დაბასა და სტანციის შუა გზის გაპლანვა ითხოვეს. გუბერნატორს მართლა გამოუგზავნია ინჟინერი გზის გასაპლანავად (სტანციასა და დაბას შუა 400 საჟენი არის); მაგრამ ვაჭრები ერთი-მეორესთან ვერ შეთანხმებულან და ორ პარტიად დაყოფილან. პირველ პარტიას უნდა ისეთ ადგილას გაიყვანოს გზა, სადაც დიდი ტალახი იცის, ერთი კარგი დიდი ხიდიც დასჭირდება და ათასი კაცის მეტი მუშა უნდება. მეორე პარტიისაგან გამორჩეულ გზას ოცი კაცის მუშაობაც არ უნდა და არც ხიდი არის საჭირო. ახლა ამბობენ პირველმა პარტიამ გაიმარჯვა და იქ უნდა გავიდეს გზა, სადაც ძნელი გასაკეთებელი არისო. ან კი რათ შესტკივათ გული სოფლელების ტყუილ-უბრალო მუშაობაზედ»!

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

30 დეკემბერს.

პეტერბურგი. რადგანაც შეუძლებელია ასრულება დროებითი განკარგულებისა იმის შესახებ, რომ ურიებს აეკრძალოთ ქალაქებს გარეთ დასახლება და მამულების სყიდვა ანუ დაქირავება მათს მუდმივ საცხოვრებელს ადგილებში, ამის გამო სენატმა გადასწყვიტა: იშუამდგომლოს ხსენებული განკარგულების გაუქმება ეხლავე, მოულოდნელად იმისა, ვიდრე გადაათვალიერებენ კანონებს შესახებ ურიებისა.

ოდესა. გუშინ აქ მოვიდა ორთქლით მატარებელი გემი «Царица», გამზადებული ჩინეთის ზღვებში გასაგზავნად. გემის ფასი 550,000 მანათია.

ლონდონი. კანტონიდამ (ჩინეთშია) იწერებიან, რომ შესდგომიან კანტონის პორტების შემოზღუდვას სხვა-და-სხვა შენობებით, აგრეთვე ტორპედების ჩაწყობას.

კაირი. ბეკერ-ფაშას მისვლია ბძანება გავიდეს იმ ადგილებიდამ, საცა უფრო საშიშია ცრუ-წინასწარმეტყველისაგან, ეცადოს მხოლოდ მტრის მოგერებას და დაიცვას კარგი საფარი ადგილები ეგვიპტელთა.

სუაკიმი. აჯანყება ვრცელდება; გუბერნატორები იხვეწებიან მიშველებას.

პარიჟი. სენატის პრეზიდენტად ამოურჩევიათ ლეროიე.

31 დეკემბერს.

პეტერბურგი. მათი იმპერატორებითი დიდებულებანი უავგუსტოესი შვილებითურთ დღეს გადმობძანდენ საცხოვრებლად გატჩინოდამ პეტერბურგში.

პეშტი. თუმცა სამინისტრო ბევრს ეცადა, მაგრამ მაგნატთა პალატამ მაინც მეორედ უარ-ჰყო კანონ-პროექტი, რომელსაც უნდა შემოიღოს ქრისტიანთა და ებრაელთა შორის ქორწინება.

კაირი. სამხედრო მინისტრმა წარადგინა მოხსენება შესახებ სუდანის დაცლისა; ამ მოხსენებაში ჩამოთვლილია დაბრკოლებანი, რომელნიც სუდანის დაცლასთან არიან შეერთებულნი. დაცლა შეიძლება მხოლოდ წყლის გზით: ამას დასჭირდება 1,300 გემი და სამი თვე. დრო ხარტუმის დასაცლელათაც მიღებულია ჯეროვანი ზომები; ამ ქალაქში თერთმეტიათასი ქრისტიანი და ევროპიელი მცხოვრებია.

1 იანვარს 1884 წ.

პეტერბურგი. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე დამტკიცებულ-იქმნა სახელმწიფო რჩევის თავ-მჯდომარედ 1884 წლისთვისაც.

პარიჟი. ბრისონმა, მიიღო რა პალატის პრეზიდენტის თანამდებობა, წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოაცხადა, რომ პარლამენტის მოვალეობაა დაიხსნას ეხლანდელი შთამომავლობა იმ შეცდომათაგან, რომელნიც წარსულში მოსდიოდათ; ამასთანავე ურჩევდა ურთიერთ-შორის მორიგებას და ერთმანეთის აზრის პატივის ცემას.

კაირი. ბძანებაა—ხართუმი დასცალონ, ზარბაზნები გააგუგონ, თოფის-წამალი წყალში გადაყარონ და, შემდეგ უველა სხვა გამაგრებულის ადგილების დაცლისა, ბეგერ-ფაშის რაზმმა კაირისკენ დაიწიოს.

ბერლინი. ოფიციალური გაზეთი «პოსტი» ამბობს, რომ გრაფი გერბერტი ბისმარკის პეტერბურგში გერმანიის ელჩად გადაყვანა ამტკიცებს რუსეთისა და გერმანიის შორის კარგს განწყობილებას და იმასაც, რომ ორივე სახელმწიფოს სურვილი აქვსთ დაიცვან ეს განწყობილება.

სოფია. მთავარმა ალექსანდრემ მიიღო სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი იუსტიციის და ფინანსთა მინისტრებისა—სტოილოვისა და ნაჩევიჩისა და მიანდო ცანკოვს, რათა მათი მოადგილენი ამოირჩიოს.

ნიუ-იორკი. ხორბალი ძლიერ იაფდება, აქაური ხორბლის ვაჭრები ძლიერ ადელვებულნი არიან ორი აქაური შესამჩნევი ფირმის და კომისიონური ფირმის ჩიკაროს გაკოტრების გამო.

ანტონი. კუნგ-ტუიას პროვინციის მთავრობა გაცხარებელი ემზადება ომისთვის; ტელეგრაფი გაჭყავთ კაგუოვიდამ ტონკინის სამზღვრისკენ; ხაი-ნანში დიდ-ძალი ჯარი გაგზავნეს მისაშველებლად. კანტონის მთავარ-მმართებელმა გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც იწვევს ხალხს, მზად იყოს იგი ფრანცუზების მოსაგერებლად და გამოაცხადოს, რომ ჩინეთს სხვა ხალხებთან მეგობრობა ჭსურს.

პეტერბურგი, 2 იანვარს. მათ იმპერატორებით დიდებულებათ მიუღოცეს დღესასწაული საზამთრო სასახლეში იმ პირთა, რომელთაც სასახლეში მისვლის უფლება აქვსთ და აგრეთვე დიპლომატიურმა კორპუსმა.

დიდმი მთავარმა პავლე ალექსანდრეს-ძემ მიაპყრა რა ყურადღება მართმადიდებელ პალესტინიის საზოგადოების საჭიროებათა, კისრულობს 15,000 მან. ხარჯს გამოსაცემად ცნობილი მოგზაურის ბარსკის თხზელებისა წმიდა ქვეყნების შესახებ.

ხმებია, რომ სენატის 1-ი დეპარტამენტის საგლეხო განყოფილებას ამ იანვარშივე გარდააკეთებენ განსაკუთრებულ დეპარტამენტად; ამ ახალს დეპარტამენტს ეწოდება მეორე დეპარტამენტი; იანვარშივე გაიხსნება არზების მისაღებ სტატ-სეკრეტარიატში განსაკუთრებული განყოფილება ცოლქმრების უთანხმოების გარდასაწყვეტად.

2 იანვარს.

პეტერბურგი. სახელმწიფო ანგარიშით 1884 წლის სახელმ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფლო შემოსავალი შეადგენს 792,264,073 მანეთს, გასავალი— 801,997,412 მან. დეფიციტი 9,733,339 მანეთია და განზრახვა აქვთ ამის დასაფარავად პოლშის სამეფოში გერბის გადასახადი მოუმატონ და დიდს ვაჭრობაზე და მრეწველობაზედ უფრო მომეტებული გარდასახადი დააწესონ. ფინანსთა მინისტრი სახელმწიფო შემოსავალის ცოტაობას წარსულ წელში იმითი ხსნის, რომ პურის ფასმა დაიწია, რაიცა გამოიწვია ამერიკის ცილობამ; პურის ვაჭრობის დაცემის გამო მიწის მხვნელთა და მწარმოებელთა შორის ეფულობა ჩამოვარდა; ამასთანავე შემცირდა მანუფაქტურის საქონლის ყიდვა, რომელიც ძლიერ ბევრი იყო დამზადებული. ფინანსთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მინისტრი ჰფიქრობს ზოგვით მოიქცეს, გააუმჯობესოს გადასახადის სისტემა იმ გვარად, რომ ყველას შეძლებისა-და-გვარად გადახდეს ხარჯი; მფარველობა გაუწიოს ყოველ გვარს შინაურ მრეწველობას, გახსნას ყველა წოდებისთვის მკვიდრი კრედიტი და გააუმჯობესოს მკვიდრი ფულის სისტემა და თამასუქების კურსი ისე, რომ მრეწველობას და ვაჭრობას არაფერი ევნოს და ფულის ალებ-მიცემა არ შევიწროვდეს. ფინანსთა მინისტრის ახსნა ბანკირებმა თანაგრძნობით მიიღეს.

სოფია. ფინანსთა და იუსტიციის მინისტრებად დანიშნულნი არიან ბულგარები საროსტოვი და პომიანოვი, რომელთაც ჯერ არავინ იცნობს.

გოლ-კონგი. ქალაქში მშვიდობიანობაა. მეკობრეები, რომლებსაც ფრანცუზები დასაწერად დასდევდენ, აღარსადა სჩანან წითელი მდინარის დელტაში. 1-ლს და 2-ს იანვარს მეკობრეები თავს დაესხნენ მაიდიტს, 4-ს იანვარს— ბატატს ხანოის ახლო, მაგრამ ყველგან უკან დაანევინეს დიდის ზიანით. ბაკნინგის გარნიზონის მისაშველებლად მიდიან ჩინელი ჯარები გუანგ-გენის მაზრიდამ.

ხარტუმი. აჯანყებულებმა გაცარცვეს და დასწვეს გელუანი, ხარტუმის ახლო.

ლონდონი. მთავრობას ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებია ხელ-შეკრულობა სუეცის არხის შესახებ, რომელიც ლესეპსმა დასდვა ინგლისელ გემების პატრონებთან.

დღეს მომხდარს ტირაქში უმთავრესი მოგებანი ერგო შემდეგს ბილეთებს 1-ლი შინაგანი სესხისას:

№№ სერიისა.	№№ ბილეთებისა.	მოგების ჯამი.
5,303	23	200,000
11,217	6	75,000
8,149	35	40,000
962	34	25,000
18,296	37	10,000
19,384	27	10,000
12,609	44	10,000
10,173	22	8,000
17,856	22	8,000
8,841	5	8,000
15,172	21	8,000
19,064	28	8,000
15,628	7	5,000
8,651	35	5,000
14,704	4	5,000
17,594	33	5,000
10,789	18	5,000
13,259	11	5,000
19,463	6	5,000
2,673	28	5,000
4,778	48	1,000
18,352	40	1,000
6,932	42	1,000
19,443	16	1,000
16,428	16	1,000
7,893	5	1,000
17,520	8	1,000
5,429	24	1,000
10,290	43	1,000
11,772	27	1,000
12,317	24	1,000
11,616	9	1,000
2,599	15	1,000
12,885	21	1,000
16,894	3	1,000
2,836	45	1,000
15,261	40	1,000
12,276	22	1,000
19,953	48	1,000
4,079	50	1,000

«დროების» ფოსტა.

ფეფ. ეფ—ლის ქალს. თქვენი წერილი თქვენგან ცნობილი საქმის თაობაზედ არ დაიბეჭდება. მიზეზის თქმა შორს წაგვიყვანს.

ს—ს შ—იეს. «რწყილა» და «როსკიპ-ქალს» არ დაიბეჭდება. მიზეზის გამოცხადებას საჭიროდ არა ვხადით.

ქ—სს მ. ნ—ძეს. გამოგვიგზავნეთ საცდელაღ, თუ ისურვებთ სასხვა-და-სხვა ამბავი ფრანცუზულიდამ გადმოთარგმნილი ამბები. წაუკითხავად დაბეჭდვას ვერ დაგპირდებით.

განცხადებანი

ინგლისური რკინის კრავატები



კრთის სიწოლი 7 მანეთიდგან და ორის სიწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლებები, ზღვის ბალასით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, სკარამე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, ჰირისსანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური, ოფეშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკვები, სამარილეები, გარჩილის სათხეკები, უნაგირები კატისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, სასალო მაკრატლები, ჯაქსები, უოოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიჭები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერბრუტები, სანსები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, ბიგუდები, სოუსები, ზღვის ბალასი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—38)

პ. ნულუკიძის სტამბა

ქუთაისში

იბეჭდება და გამოვა 15 დეკემბრისსათვის ქართული «კალენდარი», სადაც იქნება სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემოხვეკები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი ბატიები.

—

ისყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი ბატიები. (30—11)

იანვრის 15-ს 1884-ს წელს

წამება
ქეთევან დედოფლისა

დრამა 5 მოქმედებად 7-ს სურათად.

წარმოდგენილი იქნება ქართული დრამატიული დასისგან.

ამ წარმოდგენისთვის მზადდება ისტორიული ტანისამოსები და დეკორაცია.

ბილეთების მსურველთ წინადვე შეუძლიანთ აიღონ არწრუნის თეატრის კასაში. (10—1)

მშვენიერი ფუჩუ-ფუჩაი ამ წლის ბოლოამდის იყიდება რეა აბაზად.

ინგლისის მაღაზიაში.

ნუ მისცემთ 2 მან. 20 კაპ. ან 2 მან. 40 კაპ. უარეს ჩაიში სხვაგან.

იქვე იყიდება სელოფენური ყვავილები მინის ხუფებით, ლამპა, ქუდები, დრატვა, ტრიკო და სხვა მრავალი საქონელი ნახვარ ფასად. (18—8)

რადგან ვსპობთ ვაჭრობას სასმელებით და სხვათა საქონლით, ამისათვის არა ჩვეულებრივის სიიეფით ვყიდით: კანიაკს, ბორტვეინს, ჯერესს, შამპანიის ღვინოს და სიგარებს ლონდონის მაგაზინში კამერციულ ბანკის ქვეშ. (10—6)

გრიგოროვის წიგნის მაღაზიაში, ლონდონის გასტინიცის ქვეშ, ისყიდება წმ. ნინა მოტიქულის სურათი ოდეოგრაფიული 50 კოპეიკი, რომლისა ფასი წმ. ნინას საფლავზე ხმარების. (10—9)

საპონი.

გლიცერინისა, ნუშისა, ვარდისა, კორბოლოვისა, ლატუშისა, ბრინჯისა და სხვა ბევრი ინგლისის მაღაზიაში. იქვე ოდეკოლონი და სხვა ტუალეტის ეუთვნილებანი 25%-ით ეფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. (12—6)

4,000 თეფში 1-ს სორტისა, ორი მანეთი დუქი! დანები ჩანგლებით, ჩაი 1-ი მაკრეფისა, მშვენიერი, 1 მან. 60 კაპ.; ხველების კანფეტები და მუნაბა სხვა-და-სხვა სორტებისა, ესსენცია კაკაოსი, ბიგულები, თოფები, რევოლვერები, ფლანგელები და სხ. ბევრი ინგლისის მაღაზიაში, აგრეთვე ყოველთვის ინგლისური და ფრანცუზული რკინის კრაოტები და სხვა საქონელი 30%. ეფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. (8—8)

ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕННАГО ГУБЕРНАТОРА КАРСКОЙ ОБЛАСТИ

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ
„КАРСЪ“
На будущій 1884 годъ.

Газета „Карсъ“ въ 1884 году будетъ издаваться совершенно на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

Условія подписки: съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, за четыре мѣсяца одинъ рубль. Подписка принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Отъ редакціи. Газета „Карсъ“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе новопріобрѣтенной Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея развитію и благоустройству. Цѣль эта Можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія по своему положенію возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ ихъ рукахъ свѣдѣній и матеріяловъ; поэтому мы просимъ этихъ лицъ не отказать намъ въ своемъ участіи и поспѣшить приведеніемъ въ порядокъ и сообщеніемъ редакціи находящихся у нихъ матеріяловъ; самая разработка этихъ матеріяловъ можетъ быть сдѣлана въ редакціи, а потому литературные недостатки ихъ ни малѣйшимъ образомъ не должны стѣснять авторовъ ожидаемыхъ сообщеній.

(3—1)

Дозв. цензур. Тифлисъ, 3 Января 1884 г. უმ. ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ზ. ჭართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.